სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10–3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა კვირას, 16 მაისს.

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 4 მან.

## სახალხო სეირნობა
## საქველ-მოქმედო გაზრითურთ
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების" სასარგებლოდ
დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში. (10—9)

!!მიაქციეთ ყურადღება!!
## ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
იშოვეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—22)

## მ. ზუნიას სტამბა
ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

## ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საა.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფი: შინაგანის, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. მერაბიშვილი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. მარშანია.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ზ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

⁂ მთავარ-მართებლის ჩამობრძანება. როგორც გაზეთები იუწყებიან, მთავარ-მართებელი თავ. გოლიცანი პეტერბურგიდან გამობრძანდება ამ თვის ოცსა და თვის დამლევს ტფილისში ჩამოვა.

⁂ სოფლელების სასარგებლოდ. ბ-ნ გუბერნატორს წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, რომ დღეიდან ნულარ გადაახდევინებთ ბაჟს, სოფლელებთ, რომელთაც ქალაქში ჩამოაქვთ ხოლმე სხვა და სხვა ხორაგი და ქუჩა-ქუჩა თუ მოედნებზე ჰყიდიანო. ეს ბაჟი ძრიელ აწუხებდა სოფლელებს.

⁂ ნიაღვარი და სეტყვა კახეთში. გაზ. „ნოვ. ობოზ." ატყობინებენ დეპეშით თელავიდან, რომ 12 მაისს თელავისა და თიანეთის მაზრებში საშინელი სეტყვა მოვიდა, რომელიც თავდაპირველად ქათმის კვერცხის ოდენა იყო და მერე დაწვრილდაო. წინანდალში ისეთი ნიაღვარი მოვიდა, ორი ცხენი დაიხრჩო და მისვლა-მოსვლა გაძნელდაო.

⁂ ქართული წარმოდგენა. კვირას, 16 მაისს, ნემეცების ბაღში, ქართულ თეატრის რეჟისორის თანაშემწის ბ-ნ ალ. ბაქრაძის მეთაურობით გამართული იქნება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ავქ. ცაგარლის ხუთ მოქმედებიანი დრამა „მათიკო". როგორც შევიტყეთ, ეს წარმოდგენა ერთის ღარიბ მოსწავლე ქალისათვის არის თურმე დანიშნული.

⁂ სლავიანსკის ხორო. როგორც შევიტყეთ, ამ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა სლავიანსკის გუნდი (ხორო) და გამართავს რამდენიმე კონცერტს.

⁂ ბაჟი ძაღლებზედ. ტფილისის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ძაღლებზედ ბაჟი შემოიღოს, თითოზე ყოველ წლივ ოროლი მანეთი.

⁂ ქ. ქუთაისი. ცეცხლი. 10 მაისს, ღამის $11\frac{1}{2}$ საათზე მესხეთის ქუჩაზე დაიწვა ხის სახლი მიხეილ გურგენიძისა.

აი გარემოება საქმისა: სრულ თერთმეტის ნახევარ საათზე ვიღაც ბოროტ-მოქმედმა აივნის პირდაპირ სახურავში გააჩინა ცეცხლი. სახლში მყოფნი ერთმხრით ლ—ძის ქალი თავისი ხუთი პატარა შვილით, და მეორე მხრით ცოლ-ქმარნი მ—ძე და ერთი პატარა ქალიშვილი ახალი დაძინებულნი იყვნენ. როგორც იყო მთლად საუბედუროდ ჯერ კიდევ სახლი არ იყო მთლად ალში გახვეული, ის

მიესმა მ—ძეს ცეცხლის ხმაურობა. საცოდავი იმ წამსვე თავბრუ დასხმული წამოვარდნილა გაუღვიძებია თავისიანები და დაუწყვია ყვირილი მეორე დგმურისათვის, მაგრამ ვერ გაუღვიძებია. შემდეგ ფანჯრის შუშები ჩაუმტვრევია „არიქა ვიწვებითო“, რაც შეძლებია უყვირია. საცოდავ ქალს, საწყალი წვრილშვილებით რეტ-დასხმულს, როგორც ყოფილა თავისთვის უშველია.

სახლი უცებ დაიწვა, ასე რომ მთელი საცხოვრებლიდან ორი ოჯახი სრულებით გაიწმინდა, მხოლოდ მ—ძეს გადაურჩინეს რამოდენიმე სამზარეულოს ავეჯეულობა. ზარალი აღემატება 800 მან. მ—ძისა კი 500 მან.

აქ ცხადათ საკითხავია: ნუ თუ სრულებით გულ შეუმტკივნელი იყო ცეცხლის გამჩენი? რათ არ იფიქრა, რომ ორ მძიმე ოჯახს აღატაკებდა? რათ არ იფიქრა, რომ ადვილად შესაძლო იყო ადამიანის სული (რამოდენიმე) ემსხვერპლა მის ბოროტ მოქმედებას? არა, ამ საქმის ჩამდენ კაცს პირუტყვის ოდენა შებრალებაც არ ჰქონია· კაცის წვალება, დედამიწასთან გასწორება მას თამაშად მიაჩნია.

საწყალნი მ—ძე ცოლქმარნი ორივე ივად დახდნენ. მოსალოდნელია უარესი საცოდავობა დატრიალდეს. არც გასაკვირველი იქნება, საცოდავნი სცდილობდნენ ამ ორ თვეში ერთი პატარა საკუთარი ბინა გაეჩინათ, მაგრამ არ დააცალა შეუბრალებელმა კაცის ხელმა, ორიოდე გროში ამ საჭიროებისათვის ოფლით მონახვეჭი ცეცხლის ალმა შთანთქა. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე ჩამდგარი საცოდავი ხუთი წვრილი ბავშვების დედა, მათი ვაებაწუხილი დედამიწას აწუხებს.

იმედია მათ ეგრეთ მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევს ვისიც ჯერ არს და ვალდებულად გახდის დამნაშავე პირს უზღოს მათ ყოველივე ზარალი.

დამსწრე ე. გ—ა

*** **ხაშური.** აქაური სცენის ცუდი მდგომარეობა. ამ სამი-ოთხი წლის წინათ, ხაშურში ბ. მათიაშვილის ბაღში გამართულ იქმნა სცენა, რამაც ყველანი ძრიელ გაგვახარა, სცენის გამართვა იკისრა და შეასრულა კიდეც ნაკისრი საქმე, პატივცემულმა ბ-ნმა ფანცულიამ.

ხოლო შარშანს აქეთ სცენამ იწყო ნგრევა, დეკორაციები მოშორდნენ ერთ-მანეთს, სახურავი დალპა, წვიმამ იწყო სვლა და სულ ჩამორეცხა კედლები სცენა ალარას-ფერს არა ჰგავს და ამას ყურადღებას არავინ არ აქცევს. აქ ყოველ ზაფხულობით თითქმის მუდამ შაბათ-კვირას იმართებოდა წარმოდგენები და ერთხელაც არ მოიფიქრეს, რომ სცენის სასარგებლოთაც გავმართოთ წარმოდგენათ და შევაკეთოთო. სწორედ კარგი იქნება, რომ აქაურ სცენის მოყვარეები გამოიღვიძებდნენ და მოიფიქრებდნენ რამე წარმოდგენების გამართვას ერთ ხუთჯერ მაინც, ამ სცენის სასარგებლოთ, შემოსულ ისევ ბატონს დ. ფანცულიას ჩააბარებდნენ, რომ სამუდამოთ არ მოისპოს ეს ერთათ ერთი ჩვენი განმავითარებელი და გასართობი სცენა და ქართული წარმოდგენები. იმედია ბ-ნი ი. ფანცულაია მოწყალე თვალით გადმოგვხედავს და შეაკეთებინებს სცენასა და სხვასა.

გურულ-ქართლელი

*** **ს. დოდოთი.** (ქართლი) საზარელი მკვლელობა. ს. დოდოთი გორის მაზრას ეკუთვნის. მცხოვრებლები თითქმის სულ ოსები არიან და ამიტომ ამათთვის ქურდობა, მკვლელობა, ყაჩაღად გავარდნა საძნელო საქმე არ არის. ამას წინად ამ სოფელში მეზობელი მეზობლისავე ხელით იქმნა მოკლული.

მკვლელობა სულ უბრალო საქმეზედ იყო, მკვლელის ყანაში შესულიყო მოკლულის საქონელი და ცოტა ოდენი ზარალი მიეცა ყანის პატრონისათვის. ეს რომ ყანის პატრონმა დაინახა, მაშინვე საქონლისაკენ გაეშურა, რომ ერთისთვის მაინც გამოეღადრაყელი; მაგრამ კაცის აჩქარებულმა სირბილმა საქონელი დააფრთხო და ყანიდგან განდევნა, ამ დროს საუბედუროდ, ბრაზ მოსულს და წადილ აუსრულებელს ყანის პატრონს წინ დახვდა საქონლის პატრონი, რომელიც წამოსულიყო საქონლის გამოსარეკად. გაშფოთებულმა ყანის პატრონმა საქონელს რომ ვერაფერი დააკლო, მით პატრონზედ იყარა ჯავრი: ამოიღო ხანჯალი და საწყალ შიგ მუცელში გაუყარა. ღონე მიხდილი მაშინვე დედამიწაზედ დაემხო და განუტევა სული. ასე მოკვდა საწყალი საქონლის პატრონი, რომელსაც მოძოვილი ყანა ფული შეეძლო გადაეხადნა· მაგრამ ბოროტმა მეზობელმა ამდენი ველარ მოიფიქრა და საწყალს სული გაანთხევინა.

მეველეებს რომ ყურადღება მიექციათ და ყანაში შესული საქონელი გამოერეკნათ, საწყალი კაცი ხანჯლის წერა აღარ გახდებოდა.

ს. ბასიშვილი

## სახალხო ჰიგიენა

### საუბარი ჯანმრთელობის შესახებ*).

(რუსულიდან)

### წყლის შესახებ.

**V. წვიმის წყალი.** ზღვებიდგან, ტბებიდგან მზის სხივების შემწეობით ადის მაღლა ცაში ორთქლი ეს ორთქლი შეადგენს ღრუბლებს. ღრუბლები ხომ მარტო წყლის ორთქლისგან შესდგებიან, მაშასადამე წვიმის წყალი სუფთა უნდა იყოს; მაგრამ ნამდვილათ კი ესე არ არის. წვიმის წვეთები როცა მაღლიდგან მოდიან, გამოივლიან ხოლმე ჰაერში, რომელიც შეიცავს მტვერს და სხვა უსუფთაობას, წვიმის წვეთები ითვისებენ ამ ცუდ ჰაერს და ამიტომ არ ვარგა არც სასმელად და არც საშინაო საქმიანობისათვის. გამოკვლეულია რომ წვიმის წყალი არც ქალაქისა და არც სოფლისა არ ვარგა, იმიტომ რომ იმაში აღმოჩნდნენ ბევრი გადამდები სენის ნაწილები. წვიმის წყალი გამოსადეგია მხოლოდ ბოსტნების და ბაღების მოსარწყავად.

**VI. ნიადაგის წყალი.** წვიმის და თოვლის წყლები მიდიან ძირს ნიადაგში და ივლის იქამდინ სანამ არ შეხვდება თიხა მიწას, რომელიც წყალს არ გაუშვებს. იმ ალაგას წყალი გროვდება და თუ თიხა მიწა ნიადაგის ზედა პირამდის არის ამოყოლებული, წყალიც მას ამოჰყვება და ამოვა ზევით ცივი წყარო. თუ ეს მიწა ნიადაგის ზედა პირამდინ არ ამოდის წყალიც იქავე რჩება, ამისთვის თხრიან ჰებს და ამოჰყავთ წყალი, რომელსაც ეწოდება ნიადაგის წყალი. მაშასადამე წყაროს წყალი და ჰის წყალი ერთი ყოფილან, გარჩევა იმაშია რომ წყაროს წყალი მიდის, ჰის წყალი კი სდგას. რა თვისებით განირჩევა ნიადაგის წყალი და რა ცვლილებას იღებენ ღრუბლის წყლები (წვიმა, თოვლი, სეტყვა) როცა ნიადაგში გაივლიან? ნიადაგი სწმენდავს წყალს ტალახიდგან და სხვა ჭუჭყისგან, აგრეთვე ნიადაგში რჩება ის სენის ნაწილები, რომელიც წვიმამ მიითვისა ჰაერისგან, გარდა ამისა წვიმის წყალს, რომელსაც მარილი სრულიად არა აქვს, გაივლის რა ნიადაგში წყალი ადნობს ნიადაგის მარილს და ითვისებს რაც საჭიროა. ამისგან არის, რომ წყაროს წყალი გრილი და გემრიელია. სჩანს, რომ ნიადაგის წყალი უნდა იყოს სუფთა და კარგი, რადგანაც იგი თავის უსუფთაობას აძლევს მიწას და მის მაგივრათ იღებს იქიდგან რაც აკლია ე. ი. მარილი. ჩვენდა სამწუხაროდ ნამდვილათ

*) იხ «ცნობ. ფურც.» №. 817

ეს არ მართლდება და ძალიან ხშ
რად ნიადაგის წყალიც ისეთ
ტალახიანი და მავნებელია, რ
გორც ტბის და გუბისა, რომ
ლებსაც აურებელი უსუფთაო
ბუდობს. მიზეზს ეხლავე ავხსნი

**VII. წყაროს წყალი.** წყაროს წყა
ლი არის იგივე ნიადაგის წყა
და რადგანაც იგი გაწმენდილ
უსუფთაობისგან ნიადაგის შემწე
ბით ითვლება მშვენიერ სასმე
წყლათ წყაროს წყლის სისუფთ
ვე ნიადაგისგან არის დამოკიდებ
ლი, თუ ნიადაგი არ არის გაფუ
ბული კაცის და საქონლის განა
ლით, მაშინ წყალიც სუფთაა. წყ
როს წყალს უნდა უფთხილდე
როგორც თვალის სინათლეს: იმ
ახლო არ უნდა დასახლდეს ხა
ხი, არც ფაბრიკები, ქარხნები
სახელოსნოები არ უნდა გააშენო
წყაროს წყლის მახლობლად. ამას
თანავე არ უნდა გააშენოთ სასაფ
ლაოები, რადგანაც მალე იხრწნ
ბა და წყალიც მის სიდამპლ
ითვისებს, რის გამოც წყალი ხდ
ბა მავნებელი ჯანმრთელობისთვი

**VIII ჭის წყალი.** ჰის წყალი
როგორც წყა-როსი ნიადაგ
საა მხოლოთ ის გარჩევაა, რო
ჰაში წყალი დგას და ჩქა
რაც ლპება. რომელ ჰასა
სუფთად ინახვენ და წყალიც ბ
ომათ ამოდის, იქ წყალი ხშირა
იცვლება. ჰებს ჩვენში აქვს შემდე
ნაკლულევანება: 1) ჰებს სთხრ
სადგომის ახლო, სადაც ნიად
გაჟღენთილია დამპალი და გახრ
ნილი ნივთიერებით, სადაც ნი
დაგი ოთხი ხუთი არშინის სიღრ
მეზე გაჟღენთილია საქონლის გ
ნავლით, რომელიც თავისუფლა
ერევა წყალში. ხშირათ ჰები შე
ხვდებათ სასაფლაოების მახლო
ლათ. წყლის ხმარება ამისთანა ჰ
ბიდგან საქონლის სასმელათ
საშინაო საქმიანობისთვის, არამ
თუ მავნებელია საშიშიცაა. რო
ვისარგებლოთ კარგი ჰის წყლ
უნდა მივაქციოთ ყურადღება, რ
ჰა ამოითხაროს ერთი მეოთხე
ვერსის სიშორეზე კაცის სადგ
მიდგან და სხვა სახელოსნოები
გან, იმიტომ რომ ნიადაგი გაჟ
ლია დამპალი და შხამიანი ნ
თიერებით. ხოლო სასაფლაოებ
გან ერთი ვერსის სიშორეზე:

2) ჩვენში ჰებს ღრმად
სთხრიან, ესე ხუთი არშინის სიღ
მეზე გამოჩნდება თუ არა წყა
მაშინვე ხმარობენ ამ წყალს.
ბი უნდა ამოითხროს იქამდინ
ნამდინ არ გამოჩნდება იმის
მიწა, რომელიც არ უშვებს წყა
ზოგან ეს მიწა ძალიან ღრმ
არის ნიადაგში, ესე სამი საჟე
სიღრმეზე და წყალი, მეტად
სველ ადგილებში, ერთი საჟე
სიღრმეზე გამოჩნდება ხოლმე·

ნ კარგია ეგრეთ წოდებული ნიური ქვები; ამ ქვებიდგან წყალს ვენ მანქნებით, ამ მანქანას ში აქვს გაკეთებული მართუ- ბადე, რომელიც მანქანაში ვს არ უშვებს.

) ბევრგან ქვებს ან სულ არა ავერ, ან ხურავენ ცუდათ, რის ც ირევა ბევრი წვიმის წყალი ვენ კი ვიცით, რომ წვიმის ლი შეიცავს მავნებელ ნაწი- ს, რომელიც ნიადაგის წყალ- არ არის. სარქველი ქას არ ვა, თუმცა მჭიდროთ იყოს და- ული, მაინც დროთა-შიმდინა- ბით დახალვათდება და წვიმის ლი თავისუფლათ ჩავა ქაში. ა ჰქონდეს რკინის სარქველი, მელსაც შეუძლია სრულიად ცვას ქა წვიმის წყლისაგან და უწმინდურებისაგან.

შ. კ—ძე.

(შემდეგი იქნება)

## ...ოშვნები, ცრუ-მორწმუნოება ...ასოფლური წამლობანი *)

...ლის წამალი. დაადნეთ ფისი და ... გაფისეთ, გადაპარსეთ თავი ...ეთ და სთვლდზედ წაასვრეთ დანა, ... მწვანე გუნდა, თეთრი საკმევე მუდასაკი, თეთრი მიწა — თავსაბა- ...ველა ერთად არეული და დანაყი- ...თბელს თავზე წაასვრეთ და რომ ...ეს გაფისული ტილო მოათბეთ ...ვარით მაგრათ, ისე რომ ადგილი ...ზე დაუგრაგათ და ასე თუთხმე- ...ის ჰქონდეს. ასე უქენით ყოველ- ..., ე. ი. როგორც ზემოთ სწერია, ... სრულიად ხორცი არ გაიწმიდე- ... რაცა ხორცი გაიწმიდოს ორ- ...ზის კიდევ უქავით, რომ ბანლის ... არ დარჩეს გაუწმენდელი. ანუ ... მიზეზი არ ჰქონდეს. შემდგომ ...რი და წითელი სანდლები, თავ სა- ... თეთრი მიწა, ესენი გადესეთ წყა- ... და თბილ თბილათ ტილოთი თა- ...აფინეთ და ბალანს ამოყვავს. ...თრი მიწა შემოაყარეთ თავზე და ...ნება.

* *

...დევ მისი წამალი. ღორის ქონი, ნი ..., სამი დამწვარი მძაღე ნიგოზი; ... ერთად დანაყეთ და რაზში გა- ...თ, თავი გადაპარსეთ, დაბანეთ და ...ად წაუსვრედ დანაყილი არდაშხანა ...ანაწილა შემდგომ ის რახით გა- ...ლი წამალი სცხეთ სამ მორ- ...დეს. ასე უქავით და განთავისუფ- ...ბა.

...ვალი რომ თეთრათ გარდაიბუროს, ...მღვრეულდებოდეს, ანუ თვალის კი- ...ბი ჰქაოდეს, მისი წამალი შემ- ...: დარიჩინი დანაყე კარგა მტვერი- ... გასცერი და იმითი თვალი გამო- ...მოს. ამ ნაირად თვალის ქავილს ...რგავს და სინათლესაც მოუმატებს.

(შემდეგი იქნება)

...ის. „ცნობ. ფურც.“ № ~~816~~. 815.

## ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან (1629 წლიდგან)*).

ტფილისის სტამბები და წიგნები ბეჭდვა XIX საუკუნეში.

320, ჩატეხილი ხიდი, ოთარაანთ ქვრივის გარჩევა 1888 წ.

321, მამიდა ასმათი, მოთხრობა „ივერიის“ გამ. 1888 წ.

322, ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში.

323, ბანჯგვლიანი ფუტკარი, ავენარიუსისა, თარგ. ალ. აბაზაძისა 1879 წ.

324, წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ე. ანდრონიკოვისა 1881 წ.

325, ანტონ კათალიკოზის გრამატიკა, 1886 წ.

326, უბის ლექსიკონი, ვ. ალნიაშვილისა, 1886 წ.

327, ლექსიკონი ანუ განმარტება ფსალმუნთა, მღ. ი. ახალმენიშვილისა 1875 წ.

328, სახელმძღვანელო სხვა და სხვა ხელოსნობისა, ძ. ახპატელოვისა, 1883 წ.

329, ეკონომიური კალენდარი, ბრუსოვისა, თარგ. 1883 წ.

330, არაკნი კრილოვისა, რუსულით, 1879 წ.

331, ქართული ხმები, ნოტებზე გადაღებული, 1886 წ.

332, კვირტი, ბორასი, 1886 წ.

333, თამარ დედოფალი, 1184—1212 წ. გამოცემა 1882 წ.

334, საახალწლო ფეშქაში, ეკ გაბაშვილისა, 1886 წ.

335, ბუნების კარი, იაკობ გოგებაშვილისა, 1868 წ. მეექვსე გამოცემა 1898 წ.

336, კუნწულა, იაკობ გოგებაშვილისა, 1884 წ.

337, ხმლი, იაკ. გოგებაშვილისა, 1883 წ.

338, საყმაწვილო კონა, იაკობ გოგებაშვილისა, 1874 წ.

339, დარიგება მასწავლებელთა, იაკობ გოგებაშვილისა, 1877 წ.

341, პატარა ბიბლიოთეკა, იაკ. გოგებაშვილისა, 1878 წ.

342, არითმეტიკული საანგარიშო, ალ. დიდებულიძისა, 1880 წ.

343, „დროების“ კალენდარი, 1876 წ.

344, მებადური და ოქროს თევზი, რაფ. ერისთავისა, 1886 წ.

445‘ მკენარეთა ლექსიკონი, მისივე 1885 წ.

346, მოკლე სქემა გრამატიკისა, მისივე 1880 წ.

347, ხატაური, ან. თუმანიშვილისა, თარგ. 1881 წ.

348, მოლაღური, საყმაწვილო ამბები, ფრანგ. მისივე 1887 წ.

349, რობინოზ კრუზო, თარგ მისივე, 1886 წ.

350, სტეფენსონი, რკინის გზის შემომღები, თარგ. 1878 წ.

351, პირველი წიგნი წერა-კით. სასწავლებლად, რაფ. ისარლიშვილისა 1875 წ.

352, ქართული ანბანი, ი. კალატოზიშვილისა, 1880 წ.

353, ქართული კალენდარი, 1885 წ.

354, კეთილი ბერიკაცი, თარგ. ეფ. შარაშიძისა 1875 წ.

355, ყრმათა მეგობარი, ივ. კერესელიძისა, 1852 წ.

356, საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა, ი. კერესელიძისა, 1853 წ.

357, ქართული კალენდარი, 1879 წ.

358, ალი, მოთხრობა ნ. ლომაურისა, 1883 წ.

359, ქაჯანა, მოთხრობა, მისივე 1885 წ.

360, ბავშვების მოვლა, კომბისა, თარგ. ვ. მაჩაბლისა 1877 წ.

361, სამშობლო ხმები, ნოტები მ. მაჭავარიანისა 1887 წ.

362, ქართული კალენდარი, 1880 წ.

363, ქართული კალენდარი, 1884 წ.

364, პატარა მოამბე, ა. მიქიანაშვილისა, 1885 წ.

365, მოძრავი ანბანი კუბიკებზე 1885 წ.

366, მეთოდური სახელმძღვანელო, ალ. ნათაძესი, 1886 წ.

367, ქართული ქრისტომატია, მ. ნასიძესი 1885 წ.

368, სახელმძღვანელო ქართული ენის შესასწავლათ რუსთათვის, მ. ნასიძესი, 1886 წ,

369, საბა-სულხან ორბელიანი, მისივე 1886 წ.

370, ქართული მწერლობა, გურამიშვილი, მისივე 1887 წ.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 815.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

11 მაისი.

**კიევი**. გარდაიცვალა დამსახურებული პროფესორი უნივერსიტეტისა ნიკოლოზ კარლოს ძე რენეკამპფი, რექტორად და ქალაქის მოურავად ნამყოფი.

**კოპენჰაგენა**. დღეს, დილის $6^1/_2$ საათზედ, ყუმბარის გატენის დროს, საშინელი აფეთქება მოხდა ლაბორატორიაში შვიდი მუშა იქმნა მოკლული, ერთი უნტერ-აფიცერი და ორი მუში მძიმედ არიან დაჭრილნი. შენობა სულ ერთიანად დაინგრა. ცეცხლი არ გაჩენილა.

**პარიზი**, გილენმა გაგზავნა ახალშენთა სამინისტროს დირექტორი ბინჟე გენერალ გალიენის მისაგებებლად, რომელიც ხვალ გამოვა მარსელში და პარასკევს პარიჟში მოვა, სადაც მის პატივსაცემლად გილენი „სადილს გამართავს.

**სუეცი**. კრეისერი „Assas“ მარშანის რაზმით არხს გაივლის, და ეგვიპტის სანიტარულ მდგომარეობის გამო, არავის არ ინახულებს.

12 მაისი

**ჰააგა**. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება: „დღემდის თვით კონფერენციის დელეგატებს არ შეეძლოთ გამოერკვიათ ნამდვილი ვითარება საქმისა, ამიტომ უკვე გამოქვეყნებული ამბები კონფერენციის შესახებ ადრეული იყო, ეხლა-კი, როდესაც დელეგატებმა ერთმანეთ შორის მოილაპარაკეს, ყოველივე ასწონდასწონეს, საჭიროდ ვსცანით შევკითხებოდით უმთავრეს დელეგატებს. ამერიკის დელეგაციის მეთაურმა უაიტმა განაცხადა: „საქმე კარგათ მიდის. მოსამზადებელი სამუშაონი კარგათ იქმნა შესრულებული. იმედი მაქვს, რომ კონფერენცია პრაქტიკულად სარგებლობას მოიტანს. სკეპტიციზმმა ადგილი უნდა დაუთმოს იმედს, თუმცა გაზვიადებით, არაფერი არ უნდა გავაზვიადოთ, ვფიქრობ, რომ კარგი შედეგი ექმნება მოლაპარაკებას შუამდგომლობისა და სამედიატორო სასამართლოს შესახებ. კონფერენციის შემდეგ სახელმწიფონი დარწმუნდებიან, რომ ომის გარდა სხვაგვარადაც შეიძლება უთანხმოების მოსპობა და სახელმწიფოების მორიგება. ეს-კი დიდი პროგრესია. რაც შეეხება შეიარაღების შემცირებას, რომლის განხილვაც პირველ კომისიას აქვს მინდობილი, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც კონფერენციის მუშაობა ჯერ არ დაუწყვია“. მეორე დელეგაციის მეთაურმა, ცნობილმა დესპანმა, დიდის სახელმწიფოს წარმომადგენელმა შემდეგი განაცხადა: „იმ გარემოებას, რომ სახელმწიფონი ჰააგაში შეიკრიბენ და აგრეთვე იმას, რომ რუსეთის იმპერატორმა შესძლო კონფერენციის მოწვევა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ რუსეთის იმპერატორი და იმის მთავრობა მშვიდობიანობას არიან მოწადინებულნი, არა ჰაეროთ ომები. ამას კი დიდი გავლენა ექმნება საზოგადო მშვიდობიანობის დამყარებისათვის“. ერთის დელეგაციის მეთაურმა, რომელსაც თავის სახელმწიფოში წარჩინებული ადგილი უჭირავს, შემდეგი აზრი წარმოსთქვა: „ჰააგაში შეკრებილი დელეგატები ჰგრძნობენ, რა დიდი საქმე აქვთ მათ მინდობილი, ამიტომ შეუძლებელია, რომ კონფერენციამ

არაფერი გააკეთოს. კაცობა, ხალხთა ინტერესი და საზოგადოების აზრი გვაიძულებენ ვიმუშაოთ მშვიდობიანობისათვის და მით სოციალისტურ მოძრაობას გამოვაცალოთ საფუძველი. დელეგატები ერთხმად ჰფიქრობენ, რომ შეიძლება ბევრი რამ იქმნას გაკეთებული ომის ჰუმანიურ საყოფელად და იმისთვის, რომ იგი უფრო იშვიათად მოხდეს ხოლმე. მაგრამ მაინც საეჭვოა, პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს შეიარაღების შემცირების საქმეს“. მეოთხე დელეგატმა იგივე განაცხადა. ყველა ზემოდ ნათქვამი დელეგატებმა დღეს განაცხადეს. ამ ნათქვამში გამოიხატება დელეგატების აზრი და შეხედულება იმ დროისა, როდესაც კონფერენცია მუშაობას იწყობს. საჭიროა დაუმატოთ, რომ დელეგატთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ კომისიებს მუშაობის დროს ბევრი დაბრკოლება შეხვდებათ, ამიტომ კონფერენცია დიდს ხანს გასტანს.

**ჰააგა.** პირველ დელეგატთა კრება დღეს დილით მოხდა. კრებას ესწრა დადგენილებანი დიდთა სახელმწიფოთა პირველ დელეგატებისა. შემდეგ დელეგატებს საზოგადო კრება ჰქონდათ, რომელმაც ფორმალურად შეიწყნარა არჩევა თავმჯდომარეებისა და ბიუროსი. როგორც ამომრჩეველთა სიიდგანა სჩანს, პირველ კომისიის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქმნენ მიუნსტერი და უაიტი; თავმჯდომარედ—ბერნაიტი; თავმჯდომარის ამხანაგად—კარენბსკი. კომისია ორ მცირე კომისიად გაიყოფება—სამხედრო და საზღვაოდ. მეორე კომისიის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქმნენ: ჰერცოგი ტეტუანი, თურხან-ფაშა და გრაფი ველზერგეიმი; თავმჯდომარედ—მარტენსი. ეს კომისიაც ორ მცირე კომისიად გაიყოფება. მესამე კომისიის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქმნენ გრაფი ნიგარი და სერ-პუანსეპოტი; თავმჯდომარედ—ლეონ ბურჟუა.

# განცხადებანი

## ოთქლით მომუშავე სტამბა ექვთიმე ი. ხელაძისა

სტამბა — ტელეფონი 648.

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახლ. შენობაში.

(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე მბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი საფეილელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელ ქარხნიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ენაზე, ქართული, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ფასი ზომიერი. ხელმისაწვდომ ფასად. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—30)

---

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




## ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.




მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ი. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—19) ი. კორონა.

---

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойкой итальянской** по разнымъ отраслямъ торгово... мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ** учебн... **заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2... часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣся...

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь...**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ари... тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на сче... 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) ... говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (5... дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ** ... **автора: Михайловская ул., № 71.** (100—2...

---

### ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
### НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
### для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

VIII-й г. изд. — VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

...1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и ...томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія ...толагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. ...ицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Арт... (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Го...го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разс... г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова.

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» п... Бранлта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; ...льзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», ...Ш. П. Милюкова. «Александръ 1 и его время», А. Прѣсякова: «А. С. ...кинъ (юбилейная статья). Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Ива... «Ада Негри», В. Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц... Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Кржив...го; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріу... эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, настоящее и будущее, д-ра философіи В Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фи...фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Релцгія красоты» (джонъ ...кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки ...ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тай... обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ запад... литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Т...щія научныя новости. Библіографія. Новости иностранной ...тературы.

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 „
За границу на годъ . . . , . . . 10 „
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| **По полугодіямъ;** | **по третямъ года:** |
| --- | --- |
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р. | Съ доставкой и пересылкой во... города Россіи; въ январѣ . , . » маѣ . . . » сентябрѣ . . . |
| За границу . . . 5 р. | За границу: въ январѣ . » » » маѣ . . » » » сентябрѣ . |
| Безъ доставки по соглашенію конторой | |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку ... повышенія подписной цѣны.

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорс...*